ევროკავშირის საერთო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამა საქართველოსთვის

ანგარიში საქართველოში ევროსტატის NUTS მეთოდოლოგიის გამოყენების, მისი პრაქტიკული შედეგებისა და საჭიროებების შესახებ

დოკუმენტი მომზადდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ:

ზაზა ჭელიძე, იაკშა პულიჟი, ტომაშ კილიანსკი

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარების პროექტის "რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში, ფაზა II", ფარგლებში

ხელშეკრულება N° ENPI/2016/376-862

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

GFA Consulting Group

giz IS International Services

პროექტი ხორციელდება კონსორციუმის მიერ საკონსულტაციო ჯგუფ GFA Consulting Group GmbH-ის ხელმძღვანელობით

სარჩევი

აკრონიმები და აბრევიატურები 3

კვლევის მიზანი 4

NUTS ნომენკლატურის შესახებ 4

ქვეყნების გამოცდილება 7

ტერიტორიული ტიპოლოგიები 10

რეგიონული განვითარების პოლიტიკა საქართველოში 11

NUTS სცენარები და რეკომენდაციები 13

შედარება ლეიტუვასთან 22

სტატისტიკურ მონაცემთა ხელმისაწვდომობა 24

გამოწვევები NUTS მონაცემთა წარმოების კუთხით და სამოქმედო გეგმა 32

- გამოწვევები 32
- სამოქმედო გეგმა 33

გამოყენებული წყაროები 36

აკრონიმები და აბრევიატურები

EC	ევროკომისია
EFTA	თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია
EU	ევროკავშირი
LAU	ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეული
NUTS	ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისთვის
PIRDP	2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების ინტეგრირებული პროგრამა
RDP	რეგიონული განვითარების პროგრამა

კვლევის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოთხოვნით. სამინისტროს მიზანია თანამედროვე მიდგომების დანერგვა მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ამ კონტექსტში, მოცემული კვლევა მიზნად ისახავს, ევროსტატის ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის (NUTS) კლასიფიკაციის გამოყენების სცენარების მომზადებას და საქართველოს მთავრობისთვის შეთავაზებას. NUTS ევროკავშირში გამოიყენება როგორც საერთო სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკურ მონაცემთა სისტემის ორგანიზების, პოლიტიკის წარმოების (მათ შორის ევროკავშირის გამოთანაბრების პოლიტიკის), აგრეთვე ამ პროცესების ეფექტურობისა და შედეგიანობის მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტი. NUTS კლასიფიკაცია ევროკავშირის წევრ თითოეულ ქვეყანაში აერთიანებს მონაცემებს 4 ტერიტორიული ერთეულის დონეზე (რაც დეტალურადაა განხილული წინამდებარე დოკუმენტში).

მოცემული დოკუმენტი აღწერს NUTS-ის დანერგვისა და განხორციელების ძირითად პრიციპებს. მასში მოცემულია სხვა ქვეყნების მაგალითები, თუ როგორ შეიძლება დაიყოს ქვეყანა NUTS ტერიტორიულ რეგიონებად. დოკუმენტი წარმოადგენს NUTS დანერგვის შემთხვევაში ქვეყნის გეოგრაფიული დაყოფის სცენარებს და რეკომენდაციებს. დოკუმენტში ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში, რომლის განხორციელებით შესაძლებელი იქნება საქართველოში NUTS-ის კლასიფიკაციის დანერგვა და მუშაობა.

NUTS ნომენკლატურის შესახებ

ტერიტორიული ერთეულების NUTS კლასიფიკაცია უზრუნველყოფს სტანდარტულ გეოგრაფიულ დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის წარმოდგენას მთლიანად, ევროკავშირის დონეზე. ეს არ გულისხმობს ევროკავშირის რომელიმე წევრი ქვეყნის შემთხვევაში, ადგილობრივად ფორმირებული ტერიტორიულ ერთეულების იგნორირებას, რომელსაც შესაძლოა ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდეს და არსებითად უკავშირდებოდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანიზებას.

NUTS კლასიფიკაციის უმთავრესი მიზანია სტანდარტიზებული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და გამოქვეყნების სისტემის შექმნა, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც ანალიზისათვის, ასევე პოლიტიკის განხორციელებაში.

ქვეყნის დონეზე არსებული მონაცემების საფუძველზე შეუძლებელია შეიქმნას სრული და კომპლექსური წარმოდგენა იმაზე, თუ რა ხდება უფრო დაბალ ტერიტორიულ დონეზე მთელი ევროკავშირის მასშტაბით. ამ კუთხით, რეგიონულ თუ უფრო დაბალ ტერიტორიულ დონეზე სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა რეგიონული და ტერიტორიული განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ეს ყველაფერი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გაანალიზდეს ადგილობრივი პოლიტიკა და შეფასდეს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

გონივრული რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ რეგიონები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული. რეგიონის საზღვრები მისაღები უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, თითოეულ რეგიონს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ზომა (მათ შორის, სტატისტიკური მიზნებისათვის) და იყოს მაქსიმალურად ერთგვაროვანი. NUTS კალსიფიკაცია მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული გეოგრაფიული ტერიტორიების დახასიათება ერთი დანიშნულების ან ერთი კონკრეტული ეკონომიკური აქტივობით. აღნიშნულ

კონტექსტში, ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას გააჩნია საკუთარი ტერიტორიის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის განსხვავებული მიდგომა, შემდეგი მიზნებით:

- ევროპის რეგიონული სტატისტიკის შეგროვება, განვითარება და ჰარმონიზაცია;
- რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი;
- რეგიონული განვითარების პოლიტიკისა და სახელმწიფო დახმარების დონის განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნებს გააჩნიათ განსხვავებული რეგიონული მოწყობა, ევროსტატის მიზანია რომ მონაცემები აღრიცხოს იგივე სტრუქტურით, რეგიონებით, რადგან ეს უფრო მეტად უზრუნველყოფს მონაცემთა ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს პოლიტიკის წარმოებას, მით უმეტეს, თუ ეს ემთხვევა ადმინისტრაციულ მოწყობას. ამიტომ, ევროსტატი რეკომენდაციას აძლევს ქვეყნებს, რომ მონაცემები შეაგროვონ და წარმოადგინონ NUTS-ის იმ რეგონებზე, რომლებიც ქვეყნის დონეზე თანხვედრაშია ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობასთან.

NUTS უზრუნველყოფს განვითარების პოლიტიკის შედარებას, მონიტორინგსა და შეფასებას და გამოიყენება ევროკავშირში, ევროპის ეკონომიკურ ზონაში (EEA), თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციასა (EFTA) და ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში მყოფ ქვეყნებში. NUTS კლასიფიკაციით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეკონომიკური ტერიტორია დაყოფილია ტერიტორიულ ერთეულებად (რეგიონები), შემდეგი პრინციპების გამოყენებით - NUTS კლასიფიკაცია მოიცავს სამ იერარქიულ დონეს: თითოეული წევრი ქვეყანა დაყოფილია NUTS 1 რეგიონებად, რომლებიც თვის მხრივ დაყოფილია NUTS 2 და შემდგომ, NUTS 3 რეგიონებად. თითოეულ რეგიონს მინიჭებული აქვს საკუთარი კოდი და სახელწოდება.

- NUTS 1: მსხვილი სოციალურ-ეკონომიკური რეგიონები;
- NUTS 2: ძირითადი რეგიონები რეგიონული პოლიტიკის განსახორციელებლად;
- NUTS 3: პატარა რეგიონები კონკრეტული შეფასებისათვის, რეგიონთაშორისი მახასიათებელთა ჩათვლით, როგორიცა: ქალაქისა და სოფლის ტიპოლოგია, დედაქალაქის მახასიათებლები, სანაპირო და არა სანაპირო (მაგალითად, მთიანი) რეგიონები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია მოსახლეობის ზღვრული მაჩვენებლები დღეისათვის მოქმედ NUTS დონეებთან მიმართებაში:

NUTS დონე	მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა	მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა
NUTS 1	3 000 000	7 000 000
NUTS 2	800 000	3 000 000
NUTS 3	150 000	800 000

NUTS 3 დონის ქვევით გარკვეულ სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვება ხდება აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულის ერთ დონეზე (ადრე არსებობდა NUTS 4 და NUTS 5 დონეები). ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეული (LAU) წარმოადგენენ NUTS მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტებს, მუნიციპალიტეტებსა, კომუნებს და თემებს, თუმცა აღნიშნული დონები ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნისათვის განსაზღვრული არ არის.

NUTS 3 რეგიონები უნდა ქმნიდნენ ერთ NUTS 2 რეგიონს, ხოლო NUTS 2 რეგიონები ქმიან NUTS 1 დონეს და NUTS თითოეული დონის საზღვრები ერთმანეთს ემთხვევა (მაგალითად, NUTS 3 საზღვრები ემთხვევა NUTS 2 საზღვარებს). თუკი ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის შემთხვევაში, მოცემული დონისათვის არ არსებობს შესაბამისი ზომის ადმინისტრაციული დონე, უნდა მოხდეს აღნიშნული დონის ფორმირება საჭირო რაოდენობის, შედარებით პატარა, მეზობელი ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანებით.

NUTS დაყოფას არ გააჩნია რაიმე კონკრეტული ზეგავლენა პოლიტიკის შემუშავებაზე, ან მის განხორციელებაზე, გარდა ევროკავშირის გამოთანაბრებითი პოლიტიკის ფარგლებში სახსრების განაწილებისა. NUTS რეგიონები წმინდა სტატისტიკური ხასიათისაა. შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე NUTS 2 რეგიონი ერთ ავტონომიურ რეგიონში, ან ერთზე მეტი NUTS 3 რეგიონი - ერთ თვითმმართველობით რეგიონში.

NUTS 2 რეგიონის განვითარების დონე განსაზღვრავს იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებიც საჭიროა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ევროკავშირის გამოთანაბრებითი პოლიტიკა განსაზღვრავს რეგიონთა სამ კატეგორიას NUTS 2 დონეზე, რომელთა მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლიდან გამომდინარე. ეს კატეგორიებია: ნაკლებად განვითარებული რეგიონები, გარდამავალი რეგიონები და შედარებით განვითარებული რეგიონები. აღნიშნული კატეგორიებიდან გამომდინარე, განისაზღვრება პროგრამათა განსახორციელებლად თანადაფინანსების განსხვავებული წესები: ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს უფლება აქვთ, მიიღონ ყველაზე მაღალი თანადაფინანსება ევროპის რეგიონული განვითარების ფონდიდან (ERDF) და ევროპის სოციალური ფონდიდან (ESF). როგორც უკვე ითქვა, NUTS 2 რეგიონების მშპ ერთ სულზე მაჩვენებელი არის რეგიონული დახმარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც ხორციელდება რეგიონული დახმარების სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. მართალია მშპ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი, გამოთანაბრების პოლიტიკას სხვა ინდიკატორებიც გააჩნია (https://ec.europa.eu/eurostat/web/cohesion-policy-indicators/cohesion-indicators). ამასთან, NUTS 2 დონე წარმოადგენს ევროკავშირის გამოთანაბრებითი პოლიტიკის ფორმირების, განვითარების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ქვაკუთხედს. გამოთანაბრებითი პოლიტიკის განსახორციელებლად სწორედ რომ მნიშვნელოვანია სანდო და საიმედო სტატისტიკურ მონაცემთა არსებობა. ევროკომისიის გადაწყვეტილება გამოთანაბრებით პოლიტიკაზე დამოკიდებულია ევროკავშირის საბჭოში და ევროპარლამენტში გამართულ განხილვებზე.

ევროსტატმა NUTS კლასიფიკაცია შექმნა 1970-იანი წლების დასაწყისში, როგორც ევროკავშირის ტერიტორიის დაყოფის ერთიანი, თანმიმდევრული სისტემა, თანამეგობრობისათვის რეგიონულ სტატისტიკურ მონაცემთა წარმოების მიზნით. დაახლოებით 30 წლის განმავლობაში NUTS კლასიფიკაციის განხორციელება და მოდიფიცირება მიმდინარეობდა წევრ ქვეყნებსა და ევროსტატს შორის მთელი რიგი „ჯენტლმენური შეთანხმებების“ საფუძველზე. 2000 წელს კი დაიწყო მუშაობა ევროკომისიის რეგლამენტზე (EC) No. 1059/2003, რომელიც დამტკიცდა და ძალაში შევიდა 2003 წელს და რომლითაც NUTS-ს მიენიჭა სამართლებრივი სტატუსი.

აღნიშნული რეგლამენტი აგრეთვე უზრუნველყოფს კლასიფიკაციის სტაბილურობას არანაკლებ 3 წლის განმავლობაში. სტაბილურობა უზრუნველყოფს იმას, რომ მონაცემები ერთი და იგივე რეგიონულ ერთეულთან მიმართებაში, განსაზღვრულია კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რასაც სტატისტიკის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით, დროის მწკრივთა კუთხით. თუმცა, რიგ შემთხვევებში, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის რეგიონული დაყოფის შეცვლის საჭიროება დგება. მსგავს შემთხვევაში, დაინტერესებული ქვეყანა ატყობინებს ევროკომისიას ასეთი ცვლილებების შესახებ. ევროკომისიას, NUTS-ის რეგლამენტის თანახმად, თავის მხრივ შეაქვს შესწორებები კლასიფიკაციაში წინასწარ განსაზღვრული სტაბილურობის პერიოდის დასასრულისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ NUTS კლასიფიკაციის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ არაუმეტეს სამ წელიწადში ერთხელ. შესწორებები, როგორც წესი, ეყრდნობა ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებულ ცვლილებებს ერთ ან ბევრ წევრ სახელმწიფოში. თუმცა, ქვეყნის ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზების შემთხვევაში ცვლილებები NUTS მიმართებაში შეიძლება დამტკიცდეს სამ წელზე ნაკლები ინტერვალით. მაგალითად, მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ერთხელ, 2014 წელს, პორტუგალიაში.

ქვეყნების გამოცდილება

NUTS ამჟამინდელი, 2016 წლის კლასიფიკაცია ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან და ის მოიცავს 104 რეგიონს NUTS 1 დონეზე, 281 რეგიონს - NUTS 2 დონეზე და 1348 რეგიონს - NUTS 3 დონეზე. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია, გამოიყენოს NUTS მეთოდოლოგია და შეაგროვოს მონაცემები თითოეულ NUTS დონეზე, ევროსტატის სტატისტიკური კომპენდიუმის მიხედვით.

რიგი ქვეყნების შემთხვევაში შესაძლებელია არსებობდეს გამონაკლისები, რაც კომპენდიუმით დაშვებულია, რადგან ზოგიერთ ქვეყანაში მაინც არსებობს მონაცემთა ხარვეზები. მსგავსი სტატისტიკური სისტემაა განსაზღვრულია კანდიდატი ქვეყნებისა და EFTA-ს წევრებისათვის, მაგრამ მათთვის სავალდებულო არ არის რეგლამენტის შესრულება. ევროკავშირის ზოგიერთი არაწევრი ქვეყნაც ნაწილობრივ იყენებს NUTS-ს საკუთარ სტატისტიკურ სისტემაში, მაგალითად, **თურქეთი** და **სერბეთი**.

ევროკავშირში NUTS 2 რეგიონების განსხვავებული ტიპები არსებობს. NUTS 2 რეგიონი შეიძლება წარმოადგენდეს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც ხშირ შემთხვევაში თვითმმართველობაა, ისეთი როგორიცაა ქალაქი, ან დიდი ქალაქის ნაწილი, რაც დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე. მაგალითად, **პოლონეთი** ადმინისტრაციულად დაყოფილია 16 თვითმმართველობით რეგიონად და 2018 წლამდე ყველა ეს რეგიონი ასევე NUTS 2 რეგიონებს წარმოადგენდნენ. **ავსტრია** კონსტიტუციურად დაყოფილია 9 მიწად, რომლებიც იმავდროულად NUTS 2 რეგიონებს წარმოადგენენ. **გერმანიაში** არის მიწები, რომლებიც წარმოადგენენ NUTS 2 რეგიონებს, მაგრამ ზომიდან გამომდინარე, ზოგიერთი მათგანი დაყოფილია რამდენიმე NUTS 2 რეგიონად (მიწა, თავის მხრივ, NUTS 1-ს წარმოადგენს). ზოგ შემთხვევაში, დიდი ქალაქები წარმოადგენენ ერთ მთლიან NUTS 2 რეგიონს, მაგალითად, ჰამბურგი და ჰანოვერი. **შვედეთში** არსებობს სტატისტიკური რეგიონები, რომლებიც არ ემთხვევა მიწების საზღვრებს. **გაერთიანებულ სამეფოში** ლონდონი დაყოფილია 5 NUTS 2 რეგიონად. **სლოვენია** დაყოფილია NUTS 2 რეგიონებად, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები.

NUTS 2 დაყოფის თვალსაზრისით განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს **ხორვატია.** ევროკავშირში შესვლის წინა მოლაპარაკებების დროს დიდი ყურადღება გამახვილდა თავ 22-ზე, რომელიც შეეხებოდა რეგიონულ პოლიტიკას და NUTS კლასიფიკაციის დანერგვას **ხორვატიაში, რაც იყო ქვეყნის მიმართ წაყენებული ერთ-ერთი შესასრულებელი პირობა.** იმ დროისათვის არსებული მოსახლეობის რაოდენობით, რომელიც 4.3 მილიონს შეადგენდა, ხორვატია მთლიანობაში მიიჩნეოდა NUTS 1 რეგიონად. რეგიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებში (ოლქები), საშუალო მოსახლეობას შეადგენდა 211 ათასი კაცი, რაც შესაბამისად აკმაყოფილებდა NUTS 3 დონისათვის გაწერილ პირობებს.

იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა NUTS 2 დონის შესაბამისი ადმინისტრაციულად დაყოფილი ტერიტორიული ერთეულები, ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის, თუ როგორ უნდა გაყოფილიყო ქვეყნის ტერიტორია და როგორ უნდა მომხდარიყო NUTS 2 ერთეულების განსაზღვრა. ევროსტატთან ხანგრძლივი პოლიტიკური დებატებისა და დისკუსიების შედეგად, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2007 წელს, რომლის თანახმადაც ხორვატია დაიყო სამ NUTS 2 რეგიონად. **თუმცა, აღნიშნული დაყოფა შეიცვალა 2012 წელს, ევროკავშირის შემადგენლობაში შესვლამდე ერთი წლით ადრე** (იხ. რუკა ქვემოთ).



წყარო: ევროსტატი

მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ ერთ-ერთმა NUTS 2 რეგიონმა (ჩრდილო-დასავლეთ ხორვატია), 75%-ით გადალახა EU-27-ით გაწერილი, ერთ სულზე საშუალო მშპ-ის ზღვარი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ევროკავშირში შესვლის შემდეგ, რეგიონი ვეღარ ისარგებლებდა რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრული დაფინანსების საუკეთესო პირობებით. ნაცვლად „ნაკლებად განვითარებული რეგიონების“ კატეგორიაში მოქცევისა, რეგიონს მიეწერებოდა ე.წ. „გარდამავალი რეგიონის“ კლასიფიკაცია, მიიღებდა ევროკავშირის სახსრებიდან შედარებით ნაკლებ თანადაფინანსებას და ისარგებლებდა სხვა, ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, მაგალითად, სახელმწიფო დახმარების ზომა. ამ ერთეულის შემთხვევაში ერთ სულზე შედარებით მაღალი მშპ-ის არსებობის უმთავრეს განმაპირობებელ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ მასში მოქცეული იყო დედაქალაქი ზაგრები.

შესაბამისად, ახალი, 2012 წლის კლასიფიკაციით მოხდა კონტინენტური ნაწილის NUTS 2 ორი რეგიონის ერთ რეგიონად გაერთიანება, რომლის მშპ ერთ სულზე იყო EU-ის საშუალო მაჩვენებლის 61%, რის შედეგადაც ორივე NUTS 2 რეგიონს ნაკლებად განვითარებული რეგიონის სტატუსი მიენიჭა და ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში მეტი დაფინანსებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცა.

აღნიშნული დაყოფა ხელახლა შეიცვალა 2019 წელს, ახლად შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, როდესაც შესაძლებელი გახდა კიდევ ერთი ახალი NUTS 2 რეგიონის ფორმირება და ქალაქი ზაგრებიც გამოეყო, როგორც ახალი NUTS 2 რეგიონი. შემადგენლობით. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც 2017 წელს ზაგრებმა გადალახა 800 000 მაცხოვრებლის ზღვარი (შიდა მიგრაციის შედეგად) და შესაბამისად, მოიპოვა NUTS 2 დამოუკიდებელ რეგიონად ფორმირების უფლება. ამდენად, ახალი კლასიფიკაციით, NUTS 1 არის ხორვატია მთლიანად, არსებობს ოთხი NUTS 2 რეგიონი (ქალაქი ზაგრები, ჩრდილოეთ ხორვატია, ცენტრალური და აღმოსავლეთ (პანონიური) ხორვატია და ხორვატიის ადრიატიკული ნაწილი) და 21 NUTS 3 რეგიონი (ოლქები). მუნიციპალიტეტები და ქალაქები წარმოადგენენ LAU დონეს.

NUTS 2	მოსახლეობა (რაოდენობა)	მოსახლეობა (%)	საშუალო მშპ ერთ სულზე 2014-2016 წლის მსყიდველობითი უნარების სტანდარტით (PPS) (EU-27=100)
ქალაქი ზაგრები (NUTS 2)	800 674	19,0	104,84
ცენტრალური და აღმოსავლეთ (პანონიური) ხორვატია (NUTS 2)	1 166 287	27,7	40,69
ადრიატიკული ხორვატია (NUTS 2)	1 398 260	33,2	57,40
ჩრდილოეთ ხორვატია (NUTS 2)	842 773	20,0	47,12
ხორვატია (NUTS 1)	**4 207 994**	**100,0**	**62,3**

წყარო: დოკუმენტი ხორვატიის რესპუბლიკაში NUTS2 ახალი კლასიფიკაციის შემოღების შესახებ (IRMO, 2019),

პორტუგალიის დაყოფა NUTS რეგიონებად 1986 წელს მოხდა, როდესაც ქვეყანა შეუერთდა ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობას (EEC). თავიდან იყო სამი NUTS 1 რეგიონი – ქვეყნის ძირითადი ნაწილი და 2 ავტონომიური რეგიონი; შვიდი NUTS 2 რეგიონი – 5 დაგეგმვის რეგიონი ქვეყნის ძირითად ნაწილში და 2 ავტონომიურ რეგიონში; და 29 NUTS 3 რეგიონი, შესაბამისად; 27 ქვეყნის ძირითად ნაწილში და 2 ავტონომიურ რეგიონში. ამის შემდეგ მოხდა რამდენიმე მცირე ცვლილება (მაგ. მუნიციპალიტეტების შეცვლა რეგიონების საზღვრებში, ერთი რეგიონიდან მეორეზე რეგიონში გადატანა) მაგალითად, ლისაბონისა და ტეჟუს ტერიტორიის NUTS 2 საზღვრის შეცვლა 2002 წელს; და 2013 წელს ცვლილებები NUTS 3 რეგიონებში, 21 შიდა მუნიციპალური ორგანიზაციის ადმინისტრაციული რეგიონებისა და 2 საქალაქო ზონის ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში შეტანა.

წყარო: დუარტე როდრიგესი, პრეზენტაცია სემინარისათვის თემაზე: საქართველოს სტატისტიკური დაყოფის პერსპექტივები ევროსტატის NUTS მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სხვადასხვა ქვეყნების NUTS რეგიონების მოსახლეობის მონაცემები აჩვენებს, რომ ზოგიერთი NUTS დონის მოსახლეობის რაოდენობა რეგლამენტით განსაზღვრულ ზღვარს ქვემოთაა, რაც სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ რეგლამენტით დაშვებულია ინდივიდუალური რეგიონების ზღვარიდან გამოსვლა მაშინ, როდესაც ისინი ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ კატეგორიაში შემავალი ყველა NUTS რეგიონის მოსახლეობის საშუალო რაოდენობა ზღვრებს უნდა შეესაბამებოდეს. მაგალითად, შესაძლებელია არსებობდეს ერთი ან მეტი NUTS 3 რეგიონი 150 ათასზე ნაკლები მოსახლეობით, მაგრამ NUTS 3 რეგიონების საშუალო მოცულობა უნდა იყოს ზღვარში მოქცეული, რაც წარმოადგენს 150-დან 800 ათასამდე მაცხოვრებელს. ამასთან, რეგლამენტის თანახმად, ზოგიერთ არა ადმინისტრაციულ ერთეულთან მიმართებაში, შესაძლოა დაირღვეს აღნიშნული პირობა გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ისტორიული, კულტურული ან გარემოსდაცვითი გარემოებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით კუნძულებზე და დაშორებულ რეგიონებში.

შეუსაბამობის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე ის, რომ ევროკავშირის „ძველ“ ქვეყნებში NUTS რეგულაციით 2003 წლიდან დაშვებული იყო იმ ზღვრებიდან გასვლა, რომლებიც ადრე დაწესდა წევრ სახელმწიფოებსა და ევროსტატს შორის (ე.წ. „ჯენტლმენური შეთანხმება“).

ტერიტორიული ტიპოლოგიები

ევროკავშირის განსხვავებული ტერიტორიების შესახებ უფრო დეტალური სურათის წარმოდგენის მიზნით და კონკრეტულ ტერიტორიებთან მიმართებაში ევროკავშირისა და ეროვნული პოლიტიკისათვის უკეთესი ანალიტიკური ბაზისის უზრუნველსაყოფად, ევროსტატი სტატისტიკურ ინფორმაციას ამზადებს განსხვავებულ კლასიფიკაციებსა და ტიპოლოგიებზე დაყრდნობით. ეს მოიცავს მონაცემებს რეგიონებზე, ქალაქებსა და დიდ ქალაქებზე, მუნიციპალურ რაიონებზე, სოფლის რაიონებსა და რეგიონებზე, კონკრეტულ გეოგრაფიულ ზონებზე, როგორიცაა სანაპირო რეგიონები, მთიანი რეგიონები, სასაზღვრო რეგიონები, კუნძულები და ა.შ.

რეგლამენტის მიხედვით, LAU დონეზე განისაზღვრება შემდეგი ტიპოლოგიები:

(ა) ურბანიზაციის დონე (degree of urbanization, DEGURBA): „საქალაქო არეა“, „ქალაქები” ან “მჭიდროდ დასახლებული ტერიტიტორიები”, “ქალაქები და გარეუბნები” ან “საშუალო სიმჭიდროვის არეალები”, “ურბანული არეალები” ან “მცირედ დასახლებული ტერიტორიები”;
(ბ) ფუნქციური საქალაქო არეალები: “ქალაქები” და დამატებით, მათი “ყოველდღიური გადაადგილების ზონები“;
(გ) სანაპირო არეალები: „სანაპირო არეალები“, „არა სანაპირო არეალები“.

NUTS მე-3 დონეზე განისაზღვრება შემდეგი ტიპოლოგიები და კატეგორიები:

(ა) ქალაქისა და სასოფლო ტიპოლოგია: „უპირატესად ქალაქის რეგიონები“, „შუალედური რეგიონები“, „უპირატესად სასოფლო რეგიონები“;
(ბ) მეტროპოლიის ტიპოლოგია: „მეტროპოლიური რეგიონები“, “არა მეტროპოლიური რაიონები“
(გ) სანაპირო ტიპოლოგია: „სანაპირო რეგიონები“, „არა სანაპირო რეგიონები“.

რეგიონული განვითარების პოლიტიკა საქართველოში

ადმინისტრაციულად საქართველო დაყოფილია 13 ადმინისტრაციულ და სტატისტიკურ „რეგიონად“. თბილისის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) გამოკლებით, რჩება 9 ადმინისტრაციული რეგიონი, რომელსაც მართავს სახელმწიფოს რწმუნებული. თითოეული რწმუნებული ზედამხედველობას უწევს სხვადასხვა მუნიციპალიტეტს. თბილისს, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს საკუთარი მთავრობა ჰყავთ. რეგიონები განსხვავდება ტერიტორიული, სოციალური და ეკონომიკური მახასიათებლებით.

რეგიონული პოლიტიკის გატარება ხორციელდება 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამის (RDP) ფარგლებში. RDP წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიული განვითარების მთავარ მიზნებსა და პრიორიტეტებს, რაც მოიცავს:

- ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა, ყველა რეგიონის პოტენციალის გამოყენებით, მათი კონკრეტული შესაძლებლობების შესაბამისად;
- სოციალური თანასწორობისა და დასაქმების შესაძლებლობათა ზრდა განვითარების მიზნით, ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი საცხოვრებელი ადგილისა.
- ქვეყნის მდგრადი, გარემოსდაცვითი და სივრცულად დაბალანსებული განვითარება.

ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის მიზანია, შემცირდეს უთანაბრობა რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლებს შორის. რეგიონული განვითარების პროგრამა ხელს უწყობს რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელებას ყველა რეგიონში, რათა მოხდეს ეკონომიკის განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის, ბიზნეს კონკურენტუნარიანობის, სოციალური თანასწორობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. 2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამით უზრუნველყოფილია სამიზნე რეგიონების ფინანსური მხარდაჭერა იმ პრობლემათა დასაძლევად, რომელთა წინაშე ეს რეგიონები დგანან.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ უთანაბრობების კვლევა (2017) აჩვენებს რომ საქართველო მონოცენტრული ქვეყანაა. არსებობს დიდი უთანაბრობა დედაქალაქსა და სხვა ურბანულ რეგიონებს შორის, არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობის, არამედ ეკონომიკის, შემოსავლების, ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის და ხარისხის კუთხითაც. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოსახლეობის დაახლოებით 31% ცხოვრობდა თბილისში. 2017 წლისთვის, მშპ-ის ნახევარი იწარმოებოდა თბილისში, ბიზნესის მთლიანი ბრუნვის 71% და ბიზნეს-დასაქმების 62% მოდიოდა თბილისში მოქმედ კომპანიებზე. 2018 წელს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების 82% განთავსდა დედაქალაქში დარეგისტრირებულ საწარმოებში. რაც შეეხება მშპ-ს ერთ სულზე, 2017 წლის მდგომარეობით, ეს მაჩვენებელი თბილისში 1.7-ჯერ მაღალი იყო, ვიდრე რიგით მეორე, ყველაზე მდიდარ რეგიონში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ვინაიდან საქართველოში არ გვაქვს NUTS 2 რეგიონები ან მსგავსი ერთეულები, რეგიონული უთანაბრობის ანალიზი განხორციელდა არსებული ადმინისტრაციული დაყოფიდან გამომდინარე, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის NUTS 3 რეგიონებს.

2018-2021 წლების რეგიონული გავითარების პროგრამის დამტკიცების შემდეგ შემუშავდა 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების განვითარების ინტეგრირებული პროგრამა (PIRDP), რომლის მიზანია საქართველოს ოთხი რეგიონის: გურიის, იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ზემო სვანეთის სექტორულ განვითარებასა და ტერიტორიულ მახასიათებლებს შორის უზრუნველყოფილი იყოს გაცილებით ეფექტური კოორდინაცია და თანმიმდევრულობა.

PIRDP-ის, რომლის თანადაფინანსებას ევროკავშირი განახორციელებს, საპილოტე და სადემონსტრაციო დანიშნულება აქვს. დოკუმენტი საქართველოს საშუალებას მისცემს პრაქტიკაში განახორციელოს რეგიონული პოლიტიკა ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფების ჩართულობით მმართველობის სხვადასხვა დონეზე.

PIRDP რეგიონები არ წარმოადგენენ იმ NUTS 2 რეგიონების ტიპური მოცულობის ორიენტირს, რომლებიც ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის უმთავრეს ტერიტორიულ ერთეულებად მიიჩნევა. ზომის თვალსაზრისით NUTS 3 კრიტერიუმებს მხოლოდ იმერეთი და კახეთი აკმაყოფილებს. დანარჩენი ორი რეგიონი ზომით გაცილებით პატარაა. თუმცა, საქართველოს ფაქტობრივი მოცულობის გათვალისწინებით, PIRDP-იმ NUTS 3 და LAU-ის დონეებზე შეიძლება ხელი შეუწყოს თითოეული რეგიონის უკეთ შეფასებას, მონაცემთა შეგროვებას, საქართველოში NUTS კლასიფიკაციისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის შესაძლო დანერგვას.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის და ამ პოლიტიკით გათვალიწინებული ღონისძიებების განხორციელებისა და მონიტორინგისათვის საქართველო სისტემატური და სანდო რეგიონული სტატისტიკის ქონას საჭიროებს. ამ კუთხით არსებული რიგი ხარვეზები წარმოდგენილი იქნა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ და ტერიტორიულ უთანაბრობების კვლევაში. აღნიშნულ ხარვეზებს უფრო დეტალურადაა აღწერილი წინამდებარე დოკუმენტში. ქვეყნის შესაბამისი დაყოფა სტატისტიკურ რეგიონებად ევროკავშირის კარგ გამოცდილებაზე დაყრდნობით საჭიროა იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია და მოხდეს მათი სამომავლო ჰარმონიზაცია და შედარებითობა.

NUTS სცენარები და რეკომენდაციები

მოცემულ ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს NUTS რეგიონებად დაყოფის 4 სცენარი, რომელიც არჩეული იქნა თავდაპირველი 5 სცენარიდან. აღნიშნული სცენარები ეყრდნობა სხვადასხვა ვარაუდებს, მოსაზრებებსა და პრინციპს, კერძოდ:

- საქართველო, ქვეყანა მთლიანად შეესბამება და უნდა იყოს NUTS 1 დონის რეგიონი;
- ვინაიდან საქართველოში არ არის NUTS მე-2 დონის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულები, საჭიროა მომზადდეს რეომენდაციები NUTS მე-2 დონეზე არა ადმინისტრაციული რეგიონების ფორმირების შესახებ. როგორც ზევით ითქვა, იგივე გამოცდლება ჰქონდა ხორვატიას, რადგან იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობდა NUTS 2 დონის შესაბამისი ადმინისტრაციულად დაყოფილი ტერიტორიული ერთეულები, ხორვატიაში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის, თუ როგორ უნდა მომხდარიყო NUTS 2 რეგიონების განსაზღვრა;
- მართალია ადრინდელი განხილვებით შემოთავაზებული იყო დედაქალაქის მიმდებარე ტერიტორიებთან მიერთება და ერთი NUTS 2 რეგიონის ფორმირება, სხვა რეგიონებთან შედარებით **თბილისის დომინანტური პოზიციიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება დედაქალაქის, როგორც დამოუკიდებელი NUTS 2 ერთეულის, ფორმირებაა.** ამ მიდგომას ამყარებს აგრეთვე ევროკავშირის რიგი წევრი ქვეყნების გამოცდილება (თუმცა ეს გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში დაფინანსებით იყო განპირობებული). ქვეყნის დარჩენილი ნაწილის დაყოფა შეიძლება ორ დამატებით NUTS 2 რეგიონად (თბილისის ჩათვლით, მთლიანობაში გამოვა სამი), გეოგრაფიული პრინციპით და რეგიონის მოსახლეობასთან მიმართებაში ბალანსის შენარჩუნების გამო;
- NUTS 3 დონეზე დაყოფა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ, ანუ ნორმატიულ რეგიონებად დაყოფის შესაბამისად და არ მოხდეს არსებული ადმინისტრაციული დაყოფის იგნორირება გაართულებს მონაცემთა შეგროვებას. გარდა ამისა, ეროვნული რეგიონული პოლიტიკის საჭიროებებებიდან გამომდინარე, უფრო მიზნაშეწონილი იქნებოდა NUTS 3 რეგიონების არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფასთან მაქიმალურად მიახლოებულად განსაზღვრა;
- თავიდან უნდა იქნეს აცილებული ტერიტორიული მოწყობის ახალი სტატისტიკური ვარიანტი, რადგან ახალმა ცვლილებებმა შესაძლოა შეაფერხოს NUTS მეთოდოლოგიის გამოყენების მთლიანი პროცესი;
- გათვალისწინებული იქნა არსებული ეკონომიკური ჰომოგენურობა, რეგიონის ფიზიოგნომიკური მახასიათებლები, ცენტრის კრიტერიუმები და ისტორიული ტრადიციები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს თითოეულ რეგიონში და კავშირი NUTS-ის შესაბამის დონესთან.

რეგიონი	**მოსახლეობა ('000), 2018**	**მშპ ერთ სულზე (ლარი), 2018**
თბილისი	1 164.9	17,224
აჭარია ავტონომიური რესპუბლიკა	347.7	10,042
გურია	110.0	5,923
იმერეთი	502.2	7,143
კახეთი	313.6	6,434
მცხეთა-მთიანეთი	93.8	9,943
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30.0	7,138
სამეგრელო-ზემო სვანეთი	318.5	6,492
სამცხე-ჯავახეთი	155.0	7,742
ქვემო ქართლი	432.7	7,025
შიდა ქართლი	258.3	5,861
საქართველო	**3 726.5**	**11,968**

ქვეყნის ამჟამინდელი ადმინისტრაციული დაყოფის, აგრეთვე დემოგრაფიის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მონაცემთა ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, შემუშავებული იქნა საქართველოს NUTS რეგიონებად დაყოფის ოთხი სცენარი. შესაძლებელია მეტი ვარიანტის განხილვა და შეთავაზება (როგორც ეს ექსპერტთა შიდა განხილვის შემთხვევაში მოხდა), თუმცა მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი სცენარები ყველაზე მისაღებია ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით. აღნიშნულ სცენარებში LAU-ები წარმოდგენილი არ არის. თუმცა, ყოველი არსებული პატარა „რეგიონი“ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ასეთი ერთეული. ყველა გამოყენებული რუკა მიღებული იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდა (საქსტატი).

<u>სცენარი 1</u>

NUTS1	NUTS 2	მოსახ-ლეობა (‘000) 2018*	მშპ ერთ სულზე (ლარი) 2018	NUTS 3	არსებული რეგიონები (მხარეები)	მოსახლეობა (‘000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი, 2018
საქართველო	სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, სანაპირო და მთიანი ზონები	1 463.4	7,662	დასავლეთ საქართველოს სანაპირო და მთიანი ზონები	აჭარის ავტონომი-ური რესპუბლიკა, გურია და სამეგრელო-ზემო სვანეთი	776.1	8,002
				ცენტრა-ლური და სამხრეთ საქართ-ველო	სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	687.2	7,278
	აღმოსავლეთ საქართველო	1 098.3	6,831	ქართლი	ქვემო ქართლი და შიდა ქართლი	691	6,589
				ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართ-ველო	მცხეთა-მთიანეთი და კახეთი	407.3	7,242
	თბილისი	1 164.9	17,224	თბილისი	თბილისი	1 164.9	17,224

სცენარი 1-ის შესაბამისი NUTS 2 რეგიონები ნაჩვენებია რუკაზე:

შესაბამისი NUTS 3 რეგიონები ნაჩვენებია რუკაზე:

<u>სცენარი 2</u>

NUTS 1	NUTS 2	მოსახ-ლეობა (‘000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი, 2018	NUTS 3	არსებული რეგიონები (მხარეები)	მოსახ-ლეობა (‘000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი, 2018
საქართველო	სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, სანაპირო და მთიანი ზონები	1 463.4	7,662	საქართვე-ლოს ჩრდილო-ეთ სანაპირო და მთიანი ზონები	სამეგრელო-ზემო სვანეთი	318.5	6,492
				საქართვე-ლოს სამხრეთ სანაპირო და მთიანი ზონები	სამცხე-ჯავახეთი, გურია, აჭარის ავტონომი-ური რესპუბლი-კა	612.7	8,721
				ჩრდილო-ცენტ-რალური საქართვე-ლო	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	532.2	7,142
	აღმოსავლეთ საქართველო	1 098.3	6,831	ჩრდილო-აღმოსავლე თ საქართვე-ლო	მცხეთა-მთიანეთი და კახეთი	407.3	7,242
				ქართლი	ქვემო ქართლი და შიდა ქართლი	691	6,589
	თბილისი	1 164.9	17,224	თბილისი	თბილისი	1 164.9	17,224

* (ათასებში)

სცენარი 2-ის შესაბამისი NUTS 2 რეგიონები ნაჩვენებია რუკაზე:

შესაბამისი NUTS 3 რეგიონები ნაჩვენებია რუკაზე:

<u>სცენარი 3</u>

NUTS 1	NUTS 2	მოსახ-ლეობა (‘000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი, 2018	NUTS 3	არსებული რეგიონები (მხარეები)	მოსახლე-ობა (‘000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი, 2018
საქართველო	დასავლეთ საქართველო	1 308.3	7,652	აჭარა	აჭარის ავტონომიუ-რი რესპუბლიკა	347.7	10042
				გურია, სამეგრე-ლო, ზემო სვანეთი	გურია და სამეგრელო-ზემო სვანეთი	428.5	6,346
				იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი	იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	532.2	7,142
	აღმოსავლეთ საქართველო	1 253.3	6,944	ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	352	6,948
				კახეთი	კახეთი	313.6	6,434
				ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი	587.7	7,214
	თბილისი	1 164.9	17,224	თბილისი	თბილისი	1 164.9	17,224

სცენარი 3-ის შესაბამისი NUTS 2 და NUTS 3 რეგიონები ნაჩვენებია რუკებზე:

Samegrelo-Zemo Svaneti
Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti
Mtskheta-Mtianeti
Imereti
Guria
Shida Kartli
Tbilisi
Kakheti
Adjara
Samtskhe-Javakheti
Kvemo Kartli
OPTION 3 NUTS 2
Region Border
NUTAS_AREA
Eastern Georgia
Tbilisi
Western Georgia

Samegrelo-Zemo Svaneti
Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti
Mtskheta-Mtianeti
Imereti
Guria
Shida Kartli
Tbilisi
Kakheti
Adjara
Samtskhe-Javakheti
Kvemo Kartli
OPTION 3 NUTS 3
Region Border
NUTAS_AREA
Adjara
Guria, Samegrelo and Svaneti
Kakheti
Kartli and Mtskheta-Mtianeti
Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti
Racha-Lechkhumi and Imereti
Tbilisi

<u>სცენარი 4</u>

NUTS 3 რეგიონებთან მიმართებაში კიდევ ერთი, დამატებით სცენარია ქვეყნის დაყოფა არსებული ნორმატიული რეგიონების მიხედვით, <u>მეზობელი რეგიონების გაერთიანების გარეშე.</u> ამ სცენარის მიხედვით, მოხდება NUTS 3 რეგიონების არსებულ ადმინისტრაციულ რეგიონებთან სრული თანხვედრა (გარდა იმერეთის რაჭა-ლეჩხუმთან და ქვემო სვანეთთან გაერთიანებისა, რაც რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის პატარა ზომიდან გამომდინარე, სტატისტიკურად ისედაც გაერთიანებულია მთელი რიგი მონაცემებთან მიმართებაში). <u>NUTS-ის რეგულაციით ეს დაშვებულია, ვინაიდან მოსახლეობის საშუალო რაოდენობა იქნება 372.6 ათასი, რაც ჯდება NUTS 3-თვის დადგენილ ზღვრებში</u>.

NUTS 1	NUTS 2	მოსახლე-ობა, ('000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი, 2018	NUTS 3	არსებული რეგიონები (მხარეები)	მოსახლე-ობა, ('000) 2018	მშპ ერთ სულზე, ლარი 2018
საქართველო	დას. საქართვე-ლო	1 308.3	7,652	აჭარა	აჭარია ავტონომი ური რესპუბლ-იკა	347.7	10,042
				გურია	გურია	110	5,923
				სამეგრელ ო ზემო სვანეთი	სამეგრელ ო ზემო სვანეთი	318.5	6,492
				იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	532.2	7,142
	აღმ. საქართვე-ლო	1 253.3	6,944	შიდა ქართლი	შიდა ქართლი	258.3	5,861
				მცხეთა მთიანეთი	მცხეთა მთიანეთი	93.8	9,943
				კახეთი	კახეთი	313.6	6,434
				ქვემო ქართლი	ქვემო ქართლი	432.7	7,025
				სამცხე ჯავახეთი	სამცხე ჯავახეთი	155	7,742
	თბილისი	1 164.9	17,224	თბილისი	თბილისი	1 164.9	17,224

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს NUTS 2-ად დაყოფის ერთ-ერთი მთავარი პრინციპად გათვალისწინებული იქნა თბილისის გამოყოფა ცალკე NUTS 2 რეგიონად, აღმოსავლეთ საქართველოსთან მიერთების ნაცვლად. თბილისის ამღოსავლეთ საქართველოს NUTS 2 რეგიონში ინტეგრირება გულისხმობდა ორ NUTS 2 რეგიონის არჩევას. ამგვარი სცენარი განხილული იყო იმ 5 სცენარს შორის, რომლებიც წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის შემუშავდა. თუმცა, ამ სცენარის გამოყენება იქნებოდა ქვეყნის ხელოვნური, აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილებად დაყოფა და დედაქალაქის ზომიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეს არ იქნებოდა ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში არსებული რეალური და იდენტური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი გადაწყვეტილება. შესაბამისად, არ მოხდა საქართველოს ორ NUTS 2 რეგიონად დაყოფის სცენარის შემოთავაზება.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულ თითოეულ სცენარში ამჟამინდელი, შედარებით პატარა რეგიონები შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც LAU. ამ შემთხვევაში გვექნება რამდენიმე LAU.

წარმოდგენილი სცენარებიდან შეიძლება გამოიყოს მე-3 და მე-4 სცენარები, ქვემოთ მოცემული გარემოებების გამო:

<u>სცენარი 3:</u>

- საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილებად დაყოფა მოცემული გზით NUTS 2-ის მიხედვით, არის ყველაზე შესაფერისი მიდგომა, ვინაიდან დასავლეთ საქართველო ისტორულად აჭარას, გურიას, სამეგრელოსა და ზემო სვანეთს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს მოიცავს. იგივეა აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევაში. ქვეყნის ამგვარი, არა ადმინისტრაციული, დაყოფა ყოველთვის ფართოდ გამოიყენებოდა. ახლა ეს რეგიონები სტატისტიკური თვალსაზრისით, არა ადმინისტრაციული რეგიონები გახდება;
- სასურველია აჭარა, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, ჩამოყალიბდეს, როგორც დამოუკიდებელი NUTS 3-ი და არ შეერწყას სხვა რეგიონებს;
- სამცხე-ჯავახეთი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი წარმოადგენენ რეგიონებს, რომლებიც განსხვავდებიან მოსახლეობის ეთნიკურობის კუთხით. მათ აგრეთვე ახასიათებთ განსხვავებული კლიმატი. გარდა ამისა, არ არსებობს პირდაპირი საგზაო კავშირი ამ ორ რეგიონს შორის. ამის გათვალისწინებით, სცენარი 3 უკეთესად გამოიყურება, ვიდრე სცენარი 1;
- მოსახლეობის ეთნიკურობისა და კლიმატური პირობების კუთხით განსხვავებული გამოწვევების მქონე რეგონებად გვევლინება აგრეთვე სამცხე-ჯავახეთი, გურია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ამის გათვალისწინებით, სცენარი 3 უკეთესია, ვიდრე სცენარი 2;
  - იმის მიუხედავად, რომ მცხეთა-მთიანეთი და კახეთი მოსაზღვრე რეგიონებს წარმოადგენენ, მათ შორის არ არსებობს აქტიური საგზაო კავშირი, შესაბამისად უადგილოა მათი შერწყმა და ერთ, NUTS 3 რეგიონად ფორმირება, როგორც ეს მოცემულია სცენარ 1 და სცენარ 2-ში;
  - როგორც მოცემულია სცენარ 3-ში, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის გაერთიანება, რამეთუ ეს რეგიონები ერთმანეთს აქტიურად უკავშირდება;
  - შესაძლებელია ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის გაერთიანებაც და ერთ, NUTS 3 რეგიონად ფორმირება არა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ რეგიონებს შორის აქტიური საგზაო კავშირები არსებობს, არამედ იმის გამოც, რომ ეს ორი რეგიონი სხვა ქვეყნებს ესაზღვრება და მსგავს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებითაც არის დასახლებული.

<u>სცენარი 4:</u>

როგორც მე-3 სცენარის შემთხვევაში, საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ ნაწილებად დაყოფა მოცემული გზით NUTS 2-ის მიხედვით, არის ყველაზე შესაფერისი მიდგომა, ვინაიდან დასავლეთ საქართველო ისტორულად აჭარას, გურიას, სამეგრელოსა და ზემო სვანეთს, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს მოიცავს. იგივეა აღმოსავლეთ საქართველოს შემთხვევაში. ქვეყნის ამგვარი, არა ადმინისტრაციული, დაყოფა ყოველთვის ფართოდ გამოიყენებოდა. ახლა ეს რეგიონები სტატისტიკური თვალსაზრისით, არა ადმინისტრაციული რეგიონები გახდება.

სცენარი 4-ის შემთხვევაში, საქართველო იყოფა 3 NUTS 2 და 10 NUTS 3 რეგიონად. <u>ეს სცენარი ყველაზე პრაქტიკული და დღევანდელი რეგიონული პოლიტიკის შესაბამისია</u>, რამეთუ ყველა არსებული რეგიონი წარმოდგენილი იქნება, როგორც დამოუკიდებელი NUTS 3 რეგიონი. რაც პირველ რიგში სრულად ერგება საქართველოში დღეისთვის არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფას, მის მართვას და ასევე, თანხვედრაშია რეგიონული სტატისკის წარმოებასთან. ასეთი დაყოფის შემთხვევაში, საქსტატს არ მოუწევს NUTS 3-ის დონეზე მიმდინარე კვლევების ანდ კვლევების შედეგების გაერთიანება. საქსტატის მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება იმისკენ, რომ მოხდეს მეთოდოლოგიური სრულყოფა, გაიზარდოს სტატისტიკური მომაცემების ჩამონათვალი და გაუმჯობესდეს ხარისხი.

გარდა ამისა, ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ასეთი დაყოფის შემთხვევაში, მართალია რამდენიმე რეგიონი მოსახლეობით მოცემულ ზღვარზე დაბლა იქნება, მაგრამ NUTS 3 დონეზე მოსახლეობის საშუალო რაოდენობა განსაზღვრულ ზღვრებში მოექცევა. ისე, როგორც ეს თავის დროზე ხორვატიაში იყო, როდესაც ოლქებში ფიქსირდებოდა მოსახლეობა საშუალოდ 211 ათასი, რაც შესაბამისად აკმაყოფილებდა NUTS 3 დონისათვის გაწერილ პირობებს.

გარდა ამისა, როგორც ზევით ითქვა, ევროსტატის მიზანია რომ ქვეყნის დონეზე მონაცემთა შეგროვება მოხდეს NUTS-ის იგივე დონეზე, რომელიც ემთხვევა ქვეყნის ადმინისტრაცულ მოწყობას, რადგან ერთის მხრივ, როგორც უკვე ითქვა, აადვილებს სტატისტიკის წარმოებას და მეორეს მხრივ, ხელს უწყობს ეფექტური პოლიტიკის წარმოებას. მაგალითად გამოდგება ლიეტუვის გამოცდილება, რომელიც ნაჩვენებია შემდეგ თავში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქამდე წარმოებული პოლიტიკა ქვეყნის რეგიონების ასეთ დაყოფაზე იყო მორგებული. მაგალითად, არსებობს რეგიონების განვითარების სტრატეგიები, მომზადებულია მთელი რიგი კვლევები, შეფასებები, რომელიც მორგებულია მსგავს რეგიონულ დაყოფაზე. თუნდაც, ზემოთ ნახენები უთანაბრობის კვლევა. ამიტომ, NUTS 3 მორგებას არსებულ რეგიონულ დაყოფაზე მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია, რაც ბუნებრივია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

შედარება ლეიტუვასთან

საქართველოსთვის შერჩეულ NUTS სცენარებთან შესადარებლად ლეიტუვა იმიტომ შეირჩა, რომ ქვეყანას დაახლოებით მსგავსი ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა გააჩნია (2.8 მილიონი და 65 ათასი კმ^2).

ლეიტუვის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებს 10 ოლქი და 60 მუნიციპალიტეტი შეადგენს. ოლქი არის უმაღლესი ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც მსგავსი სოციალური, ეკონომიკური და ეთნიკურ-კულტურული მახასიათებლების მქონე რამდენიმე მუნიციპალიტეტისგან შედგება. მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ლეიტუვა შეიძლება იყოს ერთი NUTS 2 დონე, მაგრამ რეალურად ის ორ NUTS 2 ზონად არის დაყოფილი: დედაქალაქის რეგიონი მოსახლეობით, რომელიც 0.8 მლნ-ს შეადგენს და ცენტრალური და დასავლეთ ლეიტუვა მოსახლეობით, რომელიც თითქმის 1.9 მლნ შეადგენს. ქვეყანა დაყოფილია 10 NUTS 3 რეგიონად: ვილნიუსი და 9 ოლქი და 60 LAU-დ.



წყარო: ჩეხეთის სტატისტიკის სამსახური

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შედარებულია საქართველოსა (რეგიონები) და ლეიტუვის (ოლქები) ადმინისტრაციული დაყოფა მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ცხრილში არ არის ნაჩვენები დედაქალქები. 2019 წელს თბილისის მოსახლეობა თითქმის 1.2 მლნ-ს შეადგენდა, ხოლო ვილნიუსის მოსახლეობა 0.8 მლნ-ზე ოდნავ მეტი იყო.

	რეგიონები	**მოსახლეობის საშ. რაოდენობა რეგიონზე ('000)**	**მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა რეგიონში ('000)**	**მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა რეგიონში ('000)**
ლეიტუვა	9	210.0	561.5	92.6
საქართვე-ლო*	11	255.2	497.4	29.7

**საქართველოს რეგიონების მოსახლეობის საშუალო მაჩვენებელი გამოთვლილი იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამოკლებით, რადგან მონაცემები ამ რეგიონის მოსახლეობაზე ხელმისაწვდომი არ არის.*

წინა თავში წარმოდგენილი იყო NUTS კლასიფიკაციით საქართველოს სავარაუდო დაყოფის 4 განსხვავებული სცენარი. ლეიტუვასთან შესადარებლად გამოყენებული იქნა სცენარი 4. საქართველოს შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი არის 2019 წლის 1 იანვრის მონაცემი.

	NUTS 1	**NUTS2**		**NUTS3 რაოდენობა**	**NUTS 3 მოსახლეობა ('000)**		
		დედაქალა-ქი	ცენტრალუ-რი და დას. ლიეტუვა		საშუალო	მინიმალუ-რი	მაქსიმალუ-რი
ლიეტუვა	2,848	805	2 043	10	285	99	805

საქართველო	3,723.5	აღმ.	დას.	თბილისი	10	372.6	93.8	1 164.9
		1 253.3	1 308.3	1 164.9				

ლეიტუვის გამოცდილება აჩვენებს, რომ NUTS 3 დონის საზღვრები ქვეყნის არსებულ რეგიონულ და ადმინისტრაციულ დაყოფას ემთხვევა. როგორც ეს ევროკავშირის უმეტესი წევრი ქვეყნის შემთხვევაშია, დედაქალაქი წარმოადგენს დამოუკიდებელ NUTS 2 და NUTS 3 დონეს. იმის მიუხედავად, რომ არსებობს სხვაობა NUTS რეგიონების მოსახლეობის რაოდენობრივ მაჩვენებლებს შორის (რადგან საქართველო მოსახლეობით უფრო დიდია, ვიდრე ლეიტუვა და საქართველოს ზოგიერთი რეგიონი ზომით ლეიტუვის ოლქებზე დიდია), ლეიტუვის გამოცდილება ყველაზე მისაღებია საქართველოსთვის, რაც ასახულია კიდეც შემოთავაზებულ სცენარ 4-ში.

სტატისტიკურ მონაცემთა ხელმისაწვდომობა

ეფექტური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკის განსახორციელებლად საჭიროა ხარისხიანი და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა. იმის საუკეთესო ნიმუშს, თუ როგორი უნდა იყოს რეგიონული სტატისტიკური მონაცემები, წარმოადგენს ევროსტატის NUTS მონაცემთა ბაზა, რომელიც ფარავს: რეგიონულ ეკონომიკურ ანგარიშებს, დემოგრაფიულ სტატისტიკას, სოფლის მეურნეობის სტატისტიკას, განათლების სტატისტიკას, მონაცემებს მეცნიერებასა და ტექნოლოგიაზე, ბიზნეს-სტატისტიკას, ბიზნესის რეგისტრის, ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკას, ტურიზმის სტატისტიკას, ტრანსპორტის სტატისტიკას, შრომის ბაზრის და შრომის დანახარჯების სტატისტიკას, ციფრული ეკონომიკის, გარემოსდაცვით და ენერგო-სტატისტიკას, სიღარიბისა და სოციალური პოლიტიკის მონაცემებს, სამართლებრივ სტატისტიკას და ა.შ. რეალურად, NUTS კლასიფიკაციის შესაბამისად, ევროსტატის რეგიონული სტატისტიკა აერთიანებს 16 სხვადასხვა მონაცემთა ბაზას და 300-ზე მეტ ინდიკატორს. (https://ec.europa.eu/eurostat/web/regions/data/database).



როცა საუბარია მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე, ერთი ფაქტორია გასათვალისიწნებელი. კერძოდ, ევროსტატი ვერ იღებს ყველა ქვეყნიდან ყველა მონაცემს. არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში ზოგიერთი მონაცემის ხარვეზები, რის აღმოფხვრაზეც ევროსტატი ეტაპობრივად მუშაობს.

მიუხედავად საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის სისტემის არაერთგზის რეფორმირებისა, მაინც არის რიგი რეგიონული მონაცემების ნაკლებობა. მაგალითად, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის, ვაჭრობის, დემოგრაფიის, მიგრაციის, სოფლის მეურნეობის, ინოვაციების და ტექნოლოგიების, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის (მათ შორის ტრანსპორტის), შრომის ბაზრის, სამართლებრივი სტატისტიკის და ა.შ. შესახებ.

მოცემულ თავი მიზნად ისახავს ევროკავშირში გამოყენებულ მონაცემთა ბაზებსა და საქართველოში ანალოგიურ მონაცემთა შორის არსებულ შეუსაბამობების იდენტიფიცირებას. ქვემოთ წარმოდგენილია ევროსტატის მონაცემთა 2 ბაზა (რეგიონული ეკონომიკური ანგარიშები და სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკა), კომენტარებით საქართველოში შესაბამის ინდიკატორთა ხელმისაწვდომობის შესახებ.

<u>რეგიონული ეკონომიკური ანგარიშები</u>

მშპ მონაცემები	მშპ მიმდინარე საბაზრო ფასებში, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ხელმისაწვდომი)**
	საშუალო წლიური მოსახლეობა რეგიონის მშპ მონაცემთა გამოსათვლელად (ათასი კაცი), NUTS 3 რეგიონების მიხედვით **(ხელმისაწვდომი)**
	მშპ მიმდინარე საბაზრო ფასებში, NUTS 3 რეგიონების მიხედვით **(ხელმისაწვდომი)**
	მთლიანი დამატებული ღირებულების რეალური ზრდის მაჩვენებელი საბაზისო ფასებში, NUTS 2 რეგიონების მიხედვით, პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
ეკონომიკური სექტორი და შინამეურნეობების ანგარიშები	მთლიანი დამატებული ღირებულება საბაზისო ფასებში, NUTS 3 რეგიონების მიხედვით **(ხელმისაწვდომი)**
	კაპიტალის მთლიანი ფორმირება NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ხელმისაწვდომი)**
	დასაქმება (ათასი კაცი) NUTS 3 რეგიონების მიხედვით **(ხელმისაწვდომი)**
	დასაქმება (დახარჯული საათი, ათასი) NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
	შინამეურნეობების შემოსავლები NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**

<u>სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკა</u>

აგრო-გარემოსდაცვითი მონაცემები	ნიადაგის წყლით ეროზიის შეფასება, NUTS 3 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**	
	ნაკელის შესანახი სათავსოები, NUTS 3 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**	

სასოფლო მეურნეობების სტრუქტურა	მეურნეობის ძირითადი მაჩვენებლები	მეურნეობების (ფერმების) ძირითადი მაჩვენებლები: ფართობი, პირუტყვი, სამუშაო ძალა და წარმოების მოცულობა ფერმის სასოფლო-სამეურნეო ფართობის და სამართლებრივი სტატუსისა მიხედვით, NUTS 2 რეგიონები **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		ძირითადი მაჩვენებლები: ფართობი, პირუტყვი, სამუშაო ძალა და წარმოების მოცულობა ეკონომიკური ზომის მიხედვით (ევროებში), მეურნეობის სამართლებრივი სტატუსის მიხედვით, NUTS 2 მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		ძირითადი მაჩვენებლები: ფართობი, პირუტყვი, სამუშაო ძალა და წარმოების მოცულობა მეურნეობის ტიპის მიხედვით (2-ნიშნა დონეზე), NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**
	მიწის გამოყენება - მრავალწლიანი კულტურები, სხვა მიწა, ირიგაცია	მიწის გამოყენება: მეურნეობების რაოდენობა და სხვადასხვა კულტურებით დაკავებული ნათესი ფართობების რაოდენობა მეურნეობობის ფიზიკური ზომის (მიწა) მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**
		მიწის გამოყენება: მეურნეობების რაოდენობა და სხვადასხვა კულტურებით დაკავებული ნათესი ფართობების რაოდენობა მეურნეობობის ეკონომიკური ზომის მიხედვით (ევროებში), NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**
		მრავალწლიანი კულტურები: მეურნეობების რაოდენობა და მრავალწლიანი კლუტურებით დაკავებული ნათესი ფართობები, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**
		ირიგაცია: მეურნეობების რაოდენობა, მთლიანი ფართობი და საირიგაციო ტექნიკის გამოყენება საირიგაციო ფართობის მიხედით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**
	პირუტყვი სასოფლო მეურნეობებში	პირუტყვი: მეურნეობების რაოდენობა და პირუტყვის სულადობა სახეობების და მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		პირუტყვი: მეურნეობების რაოდენობა და სულადობის საშუალო მაჩვენებელი (ყველა სახეობის პირუტყვის საშუალო), NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**

		პირუტყვი: მეურნეობების რაოდენობა და პირუტყვის სულადობა მეურნეობების ეკონომიკური ზომის მიხედვით (ევროებში), NUTS 2 რეგიონების მიხედვით, **(არ არის ხელმისაწვდომი)**
	მეურნეობების მართვა და გამოყენებული სამუშაო ძალა	სამუშაო ძალა: მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და გაწეული სამუშაოების რაოდენობა (კაც-დღე) სქესის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		ორგანული სოფლის მეურნეობა: მეურნეობათა რაოდენობა, სხვადასხვა კულტურებით დაკავებული ფართობების და პირუტყვის სახეობების და სასოფლო-სამეურნეო ზომის (მიწა) მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		მიწის გამოყენების ფორმა: მეურნეობათა რაოდენობა და მიწის ფართობი მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ზომის (მიწა) მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		მეურნეობათა რაოდენობა და მიწის ფართობი მეურნეობის ეკონომიკური ზომის (ევროებში) მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**
სასოფლო მეურნეობების სტრუქტურა - 1990-2007 წლების ისტორიული მონაცემები	სასოფლო მეურნეობები	ძირითადი მაჩვენებლები მეურნეობის სამართლებრივი სტატუსის და ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**
		ძირითადი მაჩვენებლები სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ტიპის მიხედით, (2-ნიშნა დონეზე), NUTS 2 რეგიონების (გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) **(არ არის ხელმისაწვდომი)**
	მიწის გამოყენება	მეურნეობის მიწა: მეურნეობების რაოდენობა და გამოყენებული ფართობის რაოდენობა მეურნეობების ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**
		მეურნეობების მიწა: მეურნეობების რაოდენობა და გამოყენებული ფართობის რაოდენობა მეურნეობების ეკონომიკური ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**
		მრავალწლიანი კულტურები: მეურნეობების რაოდენობა და გამოყენებული ფართობის რაოდენობა მეურნეობების ზომის მიხედვით, მრავალწლიანი კულტურებით დაკავებული ნათესი ფართობების რაოდენობა, NUTS 2

		რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**
		ირიგაცია: მეურნეობების რაოდენობა, მთლიანი ფართობი და საირიგაციო ტექნიკის გამოყენება საირიგაციო ფართობის მიხედით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ნაწილობრივ ხელმისაწვდომი)**
	პირუტყვი	პირუტყვი: მეურნეობების რაოდენობა და პირუტყვის სულადობა სასოფლო-სამურნეო ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		პირუტყვი: მეურნეობების რაოდენობა და სულადობის საშუალო მაჩვენებელი (ყველა სახეობის პირუტყვის საშუალო), NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
		პირუტყვი: მეურნეობების რაოდენობა და პირუტყვის სულადობა მეურნეობის ეკონომიკური ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**
	განსაკუთრებული ინტერესის მონაცემები	ორგანული სოფლის მეურნეობა: შერჩეული მაჩვენებლები, მეურნეობის ზომის მიხედვით, და NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი).**
		მიწის გამოყენების ფორმა: მეურნეობათა რაოდენობა და გამოყენებული ფართობის რაოდენობა მეურნეობების ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი).**
		სამუშაო ძალა: დასაქმებულთა რაოდენობა და გაწეული სამუშაოს რაოდენობა, დასაქმებულთა სქესის, კატეგორიის, მეურნეობის იურიდიული სტატუსის და მეურნეობის ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი)**.
		სამუშაო ძალა: დასაქმებულთა რაოდენობა და გაწეული სამუშაოს რაოდენობა, დასაქმებულთა სქესის, კატეგორიის, მეურნეობის იურიდიული სტატუსის და ეკონომიკური ზომის მიხედვით, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(არ არის ხელმისაწვდომი).**
	სასოფლო მეურნეობების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით, ძირითადი ინდიკატორები	სასოფლო მეურნეობების სტრუქტურა, NUTS 3 რეგიონების მიხედვით - ძირითადი ინდიკატორები (მეურნეობების რაოდენობა) **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**
სასოფლო სამეურნეო წარმოება	პირუტყვის სულადობა NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**	

	ძროხის რძის წარმოება მეურნეობებში, NUTS 2 რეგიონების მიხედვით **(ძირითადად ხელმისაწვდომი)**	
სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ანგარიშები NUTS 2 რეგიონების მიხედვით (არ არის ხელმისაწვდომი)		

ზემოთ მოცემული შედარება აჩვენებს, რომ რეგიონული ეკონომიკური ანგარიშებისა და სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკური მონაცემების ნახევარზე მეტი საქართველოში ხელმისაწვდომი არ არის. 43 ინდიკატორიდან მხოლოდ 14 არის ხელმისაწვდომი ან ძირითადად ხელმისაწვდომი, 7 ინდიკატორი არის ნაწილობრივ ხელმისაწვდომი, ხოლო 22 ინდიკატორზე წვდომა არ არსებობს. აღნიშნული პროცენტულობა უფრო ნეგატიური იქნება ზემოთ ჩამოთვლილ სხვა მონაცემთა ბაზებთან მიმართებაში. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი ძალისხმევაა საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოში მოხდეს ევროსტატის NUTS მოთხოვნებთან არსებული რეგიონული სტატისტიკის ჰარმონიზაცია.

ამჟამად საქსტატი აწარმოებს რეგიონულ სტატისტიკას, რომელიც ფარავს, როგორც რეგიონებს, ასევე მუნიციპალიტეტებს. არსებულ ძირითად რეგიონულ სტატისტიკურ მონაცემთა ნუსხა და მონაცემების ხელმისაწვდომობა NUTS დონეების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში.

ეროვნული ანგარიშები
მთლიანი შიდა პროდუტი, მთლიანი დამატებული ღირებულება, მშპ ერთ სულზე, მშპ ძირითადი სექტორების მიხედვით - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
ბიზნესის რეგიტრი და ბიზნესის სტატისტიკა
საწარმოთა რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება, დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, შრომითი დანახარჯები, ხელფასი, მომსახურებისა და საქონლის შესყიდვა, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში. მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა. ბიზნეს სტატისტიკის ყველა მონაცემი დაყოფილია საწარმოთა საკუთრებისა ტიპისა და ზომის ტიპის მიხედვით.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)
NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა. ამისათვის საჭირო იქნება დამატებითი კალკულაცია, რაც აგრეთვე შესაძლებელია LAU დონეზე, მაგრამ არა ყველა რეგიონთან და არც ინვესტიციების სექტორულ დაყოფასთან მიმართებაში.
მრეწველობა
ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება, დასაქმებულთა და თანამშრომელთა რაოდენობა, შრომითი დანახარჯები, ხელფასი, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საქონლის და მომსახურების ყიდვები - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუკი LAU რეგიონებს ემთხვევა.
მშენებლობა
ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დამატებული ღირებულება, შუალედური მოხმარება, დასაქმებულთა და დაქირავებულთა რაოდენობა, შრომითი დანახარჯები, ხელფასი, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საქონლის და მომსახურების ყიდვები, გაცემული სამშენებლო ნებართვები - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუკი LAU რეგიონებს ემთხვევა.
შრომის სტატისიკა
დასაქმება და უმუშევრობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 დონეებზე. ამისათვის საჭიროა მოხდეს შერჩევის განახლება ან შესაძლოა დადგეს დამატებითი კალკულაციის განხორციელების საჭიროება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია LAU დონეზეც, მაგრამ არა ყველა რეგიონთან მიმართებაში. საშუალო ყოველთვური ხელფასები -

მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
სოფლის მეურნეობა
წარმოება, ნათესი და აღებული ფართობი, აგრეთვე სხვადასხვა ძირითადი ერთწლიანი და მრავალწიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა, მათ შორის ბოსტნეულის, ხილის, პირუტყვის სულადობა, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2 და NUTS 3 დონეებზე. ამისათვის საჭიროა მოხდეს შერჩევის განახლება ან შესაძლოა დადგეს დამატებითი კალკულაციის განხორციელების საჭიროება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია LAU დონეზეც, მაგრამ არა ყველა რეგიონთან, კულტურასთან და შინაურ საქონელთან მიმართებაში.
მომსახურების სფერო
სასტუმროებისა და რესტორნების რაოდენობა, ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, ხელფასი, შუალედური მოხმარება, შრომითი დანახარჯები, დამატებული ღირებულება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საქონლის და მომსახურების ყიდვები სასტუმროების(ში) და რესტორნების(ში); ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, ხელფასი, შუალედური მოხმარება, შრომითი დანახარჯები, დამატებული ღირებულება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, საქონლის და მომსახურების ყიდვები ვაჭრობის (ვაჭრობაში); ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა, დაქირავებულთა რაოდენობა, ხელფასი, შუალედური მოხმარება, შრომითი დანახარჯები, დამატებული ღირებულება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტვებში, საქონლის და მომსახურების ყიდვები ტრანსპორტისა (ტრანსპორტი) და კომუნიკაციის (კომუნიკაციის საშუალებები) სფეროებში - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
ინფრასტრუქტურა
ელექტროენერგიითა და გაზის მიწოდების ცენტრალური სისტემით უზრუნველყოფილ შინამეურნეობათა პროცენტული წილი, შინამეურნეობათა განაწილება სასმელი წყლის ძირითადი მიწოდების წყაროთა მიხედვით - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2 და NUTS 3 დონეებზე. ამისათვის საჭიროა მოხდეს შერჩევის განახლება ან შესაძლოა დადგეს დამატებითი კალკულაციის განხორციელების საჭიროება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია LAU დონეზეც, მაგრამ არა ყველა რეგიონთან მიმართებაში. საერთაშორისო და მეორეხარისხოვანი გზების სიგრძე - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
სოციალური სტატისტიკა
საშუალო ყოველთვიური შემოსავალი და ხარჯები მოსახლეობაზე, შინამეურნეობაზე და ერთ სულზე - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2 და NUTS 3 დონეებზე. ამისათვის საჭიროა მოხდეს შერჩევის განახლება ან შესაძლოა დადგეს დამატებითი კალკულაციის განხორციელების საჭიროება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია LAU დონეზე, მაგრამ არა ყველა რეგიონთან მიმართებაში. პენსიონერთა, სოციალური დახმარების მიმღებ ოჯახთა და პირთა რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზედაც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა. აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბე - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზედაც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა. ამისათვის საჭიროა მოხდეს შერჩევის განახლება ან შესაძლოა დადგეს დამატებითი კალკულაციის განხორციელების საჭიროება.
მოსახლეობა და დემოგრაფია
შობადობა (ქალაქად/სოფლად), გარდაცვალება (ქალაქად/სოფლად), ბუნებრივი მატება (ქალაქად/სოფლად), 1 წლამდე გარდაცვალება (ქალაქად/სოფლად), გარდაცვალება ასაკობრივად (სქესის მიხედვით), გარდაცვალების მიზეზები (სქესის მიხედვით), მკვდრადშობადობა (ქალაქად/სოფლად), ქორწინება (ქალაქად/სოფლად), განქორწინება (ქალაქად/სოფლად), მოსახლეობის რაოდენობა (სქესის მიხედვით, ქალაქად/სოფლად) - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
განათლება

სკოლების, მოსწავლეების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (სახელმწიფო, კერძო), პროფესიული სასწავლებლების (სახელმწიფო, კერძო) რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა. დამატებით დასათვლელია სკოლის მიტოვების შემთხვევები და მოსწავლეთა რაოდენობა NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეებზე.
ჯანდაცვა
საავადმყოფოებისა და სამედიცინო ცენტრების, ექიმების, ექთნების, სავადმყოფოს საწოლების, მოსახლეობისთვის ამბულატორიული მომსახურების გამწევი სამედიცინო დაწესებულებების, მოსახლეობისთვის ამბულატორიული მომსახურების გამწევ სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
კულტურა
თეატრების, სპექტაკლების, დამსწრეთა რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია, როგორც NUTS 2, აგრეთვე NUTS 3 დონეზე. ასევე LAU დონეზე, მაგრამ არა ყველა რეგიონთან მიმართებაში. მუზეუმების, ვიზიტორების, ექსკურსიების, გამოფენების რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.
გარემოსდაცვითი სტატისტიკა
ხე-ტყის მოცულობა, ტყის ფონდი, ხე-ტყის უკანონო ჭრა, ტყის აღდგენა, ტყის თესვა, ტყის განახლება, სტაციონალურ წყაროებში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების დაჭერა და ატმოსფეროში გაფრქვევა, დაცული ტერიტორიების რაოდენობა, ვიზიტები დაცულ ტერიტიტორიებში - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU-ი რეგიონებს ემთხვევა.
ტურიზმის სტატისტიკა
ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებულ ყოველთვიურ ვიზიტთა საშუალო რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია როგორც NUTS 2, აგრეთვე NUTS 3 დონეზე. ამისათვის საჭიროა მოხდეს შერჩევის განახლება ან შესაძლოა დადგეს დამატებითი კალკულაციის განხორციელების საჭიროება. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია LAU დონეზეც, მაგრამ არა ყველა რეგიონთან მიმართებაში. სასტუმროების, სასტუმროს ნომრებისა და ვიზიტორების რაოდენობა - მონაცემთა წარმოება შესაძლებელია NUTS 2, NUTS 3 და LAU დონეზეც, თუ LAU რეგიონებს ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2014 წელს ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა და სასოფლო-სამეურნეო აღწერა, შესაბამისად, უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება მოსახლეობისა და დემოგრაფიის, შინამეურნეობების, საცხოვრებელი პირობების, განათლების, შეზღუდული შესაძლებლობების პირების, მიგრაციის, სასოფლო მეურნეობების, მიწის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ირიგაციის, პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ა.შ. შესახებ შესაძლებელია მუნიციპალურ, ურბანულ, რეგიონულ, სოფლისა და ქალაქის დონეებზედაც კი. თუმცა, აღწერა გვაძლევს მონაცემებს მხოლოდ იმ პერიოდისთვის, როდესაც ის ჩატარდა.

გამოწვევები NUTS მონაცემთა წარმოების კუთხით და სამოქმედო გეგმა

NUTS კალიფიკაციის საქართველოში დანერგვა არ გულისხმობს იმას, რომ ქვეყანა ვალდებულია ევროსტატი ან ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია შესაბამისი მონაცემებით უზრუნველყოს (ეს სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის). NUTS-ის დანერგვა შესაძლოა განხორციელდეს ეტაპობრივად.

გამოწვევები

ამ დოკუმენტზე მუშაობის პროცესში საქსტატთან განიხილულ იქნა შემდეგი საკითხები: 1) NUTS ინდიკატორების წარმოების პოტენციური ღირებულება სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკისთვის; 2) საქსტატის გამოწვევები ამ მონაცემთა წარმოების კუთხით. უფრო კონკრეტულად, შეფასდა საქსტატის პოტენციალი სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკის წარმოების მხრივ. დადგინდა, რომ დღეის მდგომარეობით, სოფლის მეურნეობის სტატისტიკა NUTS-ის მხოლოდ რამდენიმე ინდიკატორს აერთიანებს, რაც ასახული კიდევ ამ დოკუმენტში. სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ძირითად წყაროს საქართველოში სასოფლო-მეურნეობების შერჩევითი კვლევა წარმოადგენს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული მონაცემები, რაც საქართველოში სრულყოფილი არ არის. გარდა ამისა, ევროკავშირის ქვეყნებს გააჩნიათ სპეციალური სტატისტიკური მოდელები. მაგალითად, წყლით გამოწვეული ნიადაგის ეროზიის შემთხვევაში ევროკავშირის ქვეყნები იყენებენ ნიადაგის დაკარგვის უნივერსალური განტოლების (RUSLE) მოდელს, რომელიც რეგიონის მასშტაბით ნიადაგის წყლით გამოწვეული ეროზიის შესაფასებლად შემუშავდა. აღნიშნული მოდელი ემყარება მაღალი ხარისხის და ექსპერტთა მიერ შემოშავებულ გავლენის ცვლადებს (ნიადაგის ეროზიისაკენ მიდრეკილება, ნალექების ეროზიულობა, ტოპოგრაფია, მიწის საფარი და კონსერვაციის პრაქტიკა). **მსგავსი მოდელის ისევე, როგორც სხვა მეთოდების გამოყენება საქართველოში ამჟამად შეუძლებელია.**

სხვა მხრივ, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფრაგმენტაციის და მიმდინარე შერჩევითი კვლევის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ძალზედ რთულია NUTS ინდიკატორთა უმეტესი ნაწილის წარმოება და ისტორიული დროითი მწკრივების მომზადება. ამ ყველაფრის ერთ-ერთი ძირთადი ხელის შემშლელი ფაქტორია შეზღუდული ადამიანური რესურსები. არსებობს აგრეთვე გარკვეული მეთოდოლოგიური განსხვავება საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკასა და ევროსტატის მიერ წარმოებულ სტატისტიკას შორის. კერძოდ, საქსტატი იყენებს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურეობის ორგანიზაციის (FAO) მეთოდოლოგიას სოფლის მეურნეობის სტატისტიკის წარმოებაში. ამასთან, არსებობს რამდენიმე ინდიკატორი, რომელთა წარმოება საქართველოში საერთოდ არ ხდება. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო ფულადი ღირებულება, ორგანული სოფლის მეურნეობა. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე ინდიკატორი, რომელთა ამოღება ადმინისტრაციული მონაცემებიდან შეუძლებელია ან საჭიროებს რთულ კომპიუტერულ მოდელირებას, როგორც ეს წყლის შედეგად ნიადაგის ეროზიის შემთხვევაში გვაქვს.

დასასრულს, საქსტატთან გამართულმა დისკუსიამ აჩვენა, რომ ამჟამად შეუძლებელია სოფლის მეურნეობის რეგიონული სტატისტიკისათვის საჭირო NUTS მონაცემთა სრული დანერგვის პოტენციური ღირებულების განსაზღვრა და რთულია იმის განსაზღვრაც, თუ რა ვადებში იქნება ეს ყველაფერი შესაძლებელი. NUTS-ის დანერგვის ღირებულება უნდა განისაზღვროს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქსტატის ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მიერ. შესაბამისად, მოცემულ თავში აღწერილია მხოლოდ საქსტატის გამოწვევები, რაც რეგიონული სოფლის მეურნეობის სტატისტიკის წარმოებას უკავშირდება.

სამოქმედო გეგმა

საქართველოში NUTS კლასიფიკაციის დანერგვის ძირითადი წინაპირობაა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს და საქსტატის თანამშრომლობა და ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. NUTS სტატისტიკური რეგიონების განსაზღვრა ამ პროცესის მხოლოდ დასაწყისია. საქსტატსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის უნდა შეიქმნას პროცესების წარმმართველი **სამუშაო ჯგუფი,** რომელიც გააკეთებს საერთო ანალიზს, შეაფასებს არსებულ მონაცემებს, გამოყენებულ მეთოდოლოგიებში არსებულ სხვაობებს და დაადგენს ხარვეზებს. შესაძლებელია გარე ექსპერტთა მოწვევაც. ამის შემდეგ, ჯგუფი უნდა შეთანხმდეს ახალი მონაცემების დანერგვის პრიორიტეტებზე და რიგითობაზე და კოორდინაცია უნდა გაუწიოს NUTS-თან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, მათ შორის, საქართველოსთვის ერთ-ერთი რეკომენდებული სცენარის დამტკიცებას (ან ჯგუფის მიერ ინდივიდუალურად შემუშავებული სხვა ალტერნატიული სცენარი). ამ ეტაპზე ასეთ პრიორიტეტეს შეიძლება შეადგენდეს რეგიონული განათლების სტატისტიკა, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მონაცემები, ტრანსპორტის სტატისტიკა, შრომის ბაზრისა და შრომითი დანახარჯების სტატისტიკა და გარემოსდაცვითი და ენერგო სტატისტიკა, ან რეგიონული კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით ძირითადი სექტორები.

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება **მონაცემთა პრიორიტეტული კატეგორიები** (და შეფასდება შესაძლო მეთოდოლოგიური ხარვეზები), შესაძლებელი იქნება **სტატისტიკის ჰარმონიზაციის გეგმის** (გზა-მკვლევი) შემუშავება. ევროსტატი დღესაც ასეთ ეტაპობრივ გაუმჯობესებაზე მუშაობს, რადგან ბევრი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ყველა მონაცემის მომზადებას. ასეთი გეგმის შემუშავებაში აუცილებელი იქნება ევროსტატის ექსპერტთა მონაწილეობა. შესაბამისად, საჭირო იქნება სამუშაო მისიის (ან მისიების) ორგანიზება ევროსტატის მხრიდან. განსაზღვრულ მონაცემთა პრიორიტეტული კატეგორიებზე სამუშაოდ, ასევე საჭირო იქნება შესაბამისი **სამუშაო ჯგუფის** შექმნა.

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია ითვალისწინებს საქსტატის მიერ **NUTS-ის კლასიფიკაციის დანერგვის** საკითხს ეროვნულ სტატისტიკურ სისტემაში. სტრატეგიის თანახმად, სტატისტიკის ეროვნულმა სისტემამ ინიცირება უნდა გაუკეთოს ჰარმონიზაციის კვლევებს რათა სრულად დაინერგოს თანამედროვე საერთაშორისო მეთოდოლოგიები და კლასიფიკაციები (მ.შ. ევროპის კავშირში მოქმედი NUTS[1]). საქსტატი ჩართული იქნება ეროვნულ კონტექსტში NUTS კლასიფიკაციის გამოყენების პერსპექტივებზე დაკვირვების პროცესში. ამასთან, **საქსტატმა უნდა მოამზადოს NUTS–ის დანერგვის დეტალური ფინანსური გეგმა.**

[1] ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) თანახმად: "მხარეები მოახდენენ სტატისტიკურ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობის განვითარებასა და გაძლიერებას და ამგვარად, ხელს შუწყობენ დროულ, საერთაშორისო დონეზე შესადარებელ და საიმედო სტატისტიკური მონაცემთა უზრუნველყოფის გრძელვადიანი მიზნის მიღწევას. მოსალოდნელია, რომ მდგრადი ეფექტური და პროფესიონალური თვალსაზრისით დამოუკიდებელი სტატისტიკის ეროვნული სისტემა მოგვცემს ინფორმაციას, რომელიც იქნება აქტუალური მოქალაქეების, ბიზნესის და გადაწყვეტილების მიმღები მხარეებისათვის საქართველოში, რაც საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ დასაბუთებული გადაწყვეტილებები აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. სტატისტიკის ეროვნული სისტემა უნდა აღიარებდეს გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და ითვალისწინებდეს ევროკავშირის ნორმატიულ აქტებს სტატისტიკაში, მათ შორის ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსს, რათა მოხდეს სტატისტიკის ეროვნული სისტემის ევროპულ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. "

საქართველოში NUTS-ის დანერგვის საწყისი, საორიენტაციო სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით ქვემოთ:

აქტივობა	პასუხისმგებელი	განხორციელების პერიოდი		შედეგი/ინდიკატორი
		დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი[2]	
სამუშაო ჯგუფის შექმნა (გარე ექსპერტთა შესაძლო მონაწილეობით)	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	08/2020	09/2020	ჯგუფის შემადგენლობის შეთანხმება
NUTS სცენარების განხილვა და საუკეთესო სცენარის შერჩევა საქართველოსთვის	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	09/2020	10/2020	NUTS სცენარების უწყებათა ხელმძღვანელობისთვის წარდგენა და შეთანხმება
NUTS-ის შესახებ მეორადი კანონმდებლობის შემუშავების საჭიროებათა განსაზღვრა (ახალი კლასიფიკაციის დასანერგად შესაძლოა საჭირო გახდეს საქსტატის ნორმატიულ აქტებში შესწორებების შეტანა)	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	10/2020	03/2021	უწყებათა ხელმძღვანელობისთვის წარდგენილია შესაბამისი ანალიზი და წინადადებები
პრიორიტეტულ მონაცემთა განსაზღვრა შემოთავაზებული NUTS დონეებისათვის[3]	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქსტატი	10/2020	01/2021	უწყებათა ხელმძღვანელობისთვის წარდგენილია შესაბამის მონაცემთა ჩამონათვალი
(ქვე)სამუშაო ჯგუფების საჭიროებისამებრ ფორმირება	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შესაბამისი სამინისტროები	01/2021	02/2021	საჭიროებისამებრ, შექმნილია 3-4 (ქვე)სამუშაო ჯგუფი
სტატისტიკის **ჰარმონიზაციის გეგმის პირველადი პროექტის** მომზადება[4]	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	04/2021	06/2021	ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის პრეზენტაცია და შეთანხმება
ჰარმონიზაციის პირველადი გეგმის განხილვა და საბოლოო შეჯერება	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	06/2021	10/2021	მისიები და/ან სამუშაო შეხვედრები და სემინარები, გეგმის საბოლოო შეთანხმება/მოწონება
ჰარმონიზაციის გეგმის საბოლოო პროექტის შემუშავება-შეჯერება, მონაცემთა დამატებითი ბაზების ანალიზით და დეტალური ფინანსური გათვლებით[5]	საქსტატი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	10/2021	12/2021	საბოლოო გეგმა წარდგენილია უწყებათა ხელმძღვანელობისთვის.

[2] წინამდებარე საორიენტაციო **სამოქმედო გეგმაზე/ვადებზე შეიძლება ზეგავლენა ქონდეს მიმდინარე Covid19 პანდემიას ან სხვა გაუთვალისწინებელ გარემოებებს;** მითითებულმა ვადებმა შეიძლება გადაიწიოს **სამიდან ექვს თვემდე,** რაც მ.შ. დამოკიდებულია უსაფრთხოების შემდგომ ზომებზე, არსებული ვითარების სტაბილიზაციასა და შემდგომ ოფიციალურ რეკომენდაციებზე.

[3] 2020-2023 წლების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების სტრატეგიის და მისი განხორციელების წლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით და მათში ასახვის მიზნით.

[4] საჭირო იქნება ტექნიკური დახმარება ან დონორთა მხარდაჭერა.

[5] საჭირო იქნება ტექნიკური დახმარება ან დონორთა მხარდაჭერა.

წინამდებარე დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაძლებელია საქართველომ დამოუკიდებლად შეძლოს სრულფასოვანი NUTS დემარკაციის ინიცირება, მაგრამ რთულად სავარაუდოა, რომ შესაძლებელი იყოს აუცილებელი მეთოდოლოგიების შემუშავება შესატყვისი სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად და საჭირო სტატისტიკის საწარმოებლად მიზნობრივი ტექნიკური დახმარების ან თვინინგის პროგრამის გარეშე. ამისათვის, რეკომენდირებულია შესაბამისი დახმარებისა და დაფინანსების უზრუნველყოფა ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის (**ENI**) ფინანსური პაკეტის ფარგლებში.

გამოყენებული წყაროები

NUTS კლასიფიკაციის ხორვატიაში დანერგვის გამოცდილება, იაკშა პულიჟის ანგარიში, „რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში, ფაზა 2“, მარტი 2020

ევროსტატის რეგიონული სტატისტიკა NUTS კლასიფიკაციის მიხედვით, https://ec.europa.eu/eurostat/web/regions/data/database

საინფორმაციო დოკუმენტი NUTS 2-ის შესახებ, სადისკუსიო სემინარი, 14 მარტი 2019, ტომაშ კილიანკი, GFA Consulting

ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის NUTS-ის დანერგვა ხორვატიაში, პოლიტიკის დოკუმენტი, ივანა რასიჩი, ზაგრების ეკონომიკის ინსტიტუტი

NUTS – ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისათვის, ევროსტატის NUTS მეთოდოლოგიასთან შესაბამისობაში საქართველოს სტატისტიკური დაყოფის პერსპექტივების შესახებ სემინარი, პრეზენტაცია, ანა სინდიკი

ევროკავშირის NUTS-ის რეგიონები - NUTS 2016/EU-28, 2018 წლის გამოცემა, ევროსტატი

ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2003 წლის 26 მაისის რეგლამენტი (EC) No. 1059/2003 სტატისტიკისათვის ტერიტორიული ერთეულების (NUTS) საერთო კლასიფიკაციის განსაზღვრა ტერიტორიული ერთეულების (NUTS) მნიშვნელობა რეგიონული პოლიტიკისათვის, პორტუგალიური პერსპექტივა, დუარტე როდრიგესი

სტატისტიკურ მოთხოვნათა სახელმძღვანელო კრებული, 2018 წლის გამოცემა, ევროსტატი

ტერიტორიული წყობის ოპტიმიზაციის მოდელი NUTS 2 დონეზე რუმინეთში, იან ვენდტი, სტატია გამოქვეყნებულია ვერ-გვერდზე: http://researchgate.net

ჩეხეთის სტატისტიკის სამსახურის ვებ-გვერდი, https://www.czso.cz/csu/czso/lithuania-nuts

ევროსტატის ვებ-გვერდი, მონაცემები, მონაცემთა ბაზა, https://ec.europa.eu/eurostat/data/database

ევროსტატის ვებ-გვერდი, NUTS - ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისთვის, პრინციპები და მახასიათებლები, https://ec.europa.eu/eurostat/web/nuts/principles-and-characteristics

ევროსტატის ვებ-გვერდი, NUTS - ტერიტორიული ერთეულების ნომენკლატურა სტატისტიკისთვის, სტატისტიკური რეგიონები ევროკავშირის გარეთ, https://ec.europa.eu/eurostat/web/nuts/statistical-regions-outside-eu